პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 137 (4131)

1970 წ. 15 ივლისი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## რ. სიხარულიძემ, ნ. დრონოვამ და ა. ნოზაძემ გვასახელეს

გოტვალდოვი, 13 ივლისი. ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში დამთავრებულმა საერთაშორისო შეჯიბრებამ, რომელსაც „მეგობრობა" ჰქვია, წარმატება ახალგაზრდა საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს მოუტანა. სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრებმა 279,9 ქულა დააგროვა და 9 ქულით გაუსწრო უახლოეს მეტოქეს — II ადგილზე გასულ გდრ-ის გუნდს, ხოლო საბჭოთა გოგონების ნაკრებმა (186,45 ქულა) — 3,6 ქულით აჯობა მასპინძლებს.

საბჭოთა ტანმოვარჯიშეების უპირატესობა პირად ჩათვლაშიც აშკარა იყო: მრავალჭიდში საუკეთესონი იყვნენ 16 წლის ვიტებსკელი მოსწავლე თამარ ლაზაკოვიჩი და 18 წლის სკოლადამთავრებული ნ. ანდრიანოვი (ვლადიმირი).

II ადგილებზე გავიდნენ ქართველი სპორტსმენები რუსუდან სიხარულიძე და ა. ნოზაძე, მესამეზე — მათი თანაგუნდელები ოლგა კორბუტი და რ. მიქაელიანი.

ცალკეულ სახეობებში გოგონათა შორის გაიმარჯვეს: ხტომებსა და დვირზე — ლაზაკოვიჩმა, ორძელზე — შეჯიბრების ყველაზე ნორჩმა მონაწილემ, 12 წლის თბილისელმა მოსწავლემ ნ. დრონოვამ, თავისუფალ ვარჯიშში — სიხარულიძემ.

ანდრიანოვი საუკეთესო იყო რგოლებზე, ორძელსა და ლერძზე ვარჯიშში.

## 20 კმ

◆ ჩერვინია, 14 ივლისი. იტალიური დოლომიტის ალპებში სამთომოთხილამურეებმა თავბრუდამხვევი სისწრაფე განავითარეს. სპორტსმენები „ადგილიდან" ერთკილომეტრიან მონაკვეთზე არაოფიციალურ მსოფლიო რეკორდს უტევდნენ. ყველაზე სწრაფად ჩაიქროლა იაპონელმა მ. ნისიმ — მან საათში საშუალოდ 188,205 კმ სიჩქარე განავითარა. მისმა თანამემამულეებმა მ. მორისიტამ და ტ. სიმიცუმ შესაბამისად 188,019 და 182,883 კმ აჩვენეს. ევროპელ სამთომოთხილამურეთაგან საუკეთესო იყო ფინელი კ. მაკაინენი — 182,555 კმ (IV ადგილი). ავსტრიელი ე. შვაგერის ძველი მიღწევა (179,193 კმ) სულ იაპონიის, ფინეთის, იტალიისა და ავსტრიის 11 სპორტსმენმა გააუმჯობესა. ამ შეჯიბრებისთვის იაპონელი სამთომოთხილამურენი სპეციალურ აეროდინამიკურ მილებში ემზადებოდნენ.



დილის ვარჯიში.

ჟურნალ „სპორტოვეცის" (პოლონეთი) ფოტო.

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი



## ■ ლატვიელთა გმირობა ■ შედეგი ეჭვს არ იწვევდა

გუშინწინ გაიმართა მორიგი ტურის ორი მატჩი.

ტარტუ. ადგილობრივი „კალევისა" და რიგის არმიელთა შეხვედრის შედეგს მასპინძლებისთვის არ ჰქონდა ისეთი მნიშვნელობა, როგორიც ლატვიელებისთვის: საქმე ისაა, რომ „კალევს" საპრიზო ადგილზე გასვლის პრაქტიკული შანსი არა აქვს. ყველაზე დიდი, რასაც გუნდმა შეიძლება მიაღწიოს, ესაა ადგილი ხუთეულში. რიგის არმიელები კი იმისთვის იბრძვიან, რომ ერთხელ და სამუდამოდ დააღწიონ თავი აუტსაიდერთა დუეტთან მეზობლობას და სამერმისოდ უკეთესი ილუზიები შეინარჩუნონ.

აი, სწორედ ამ ორმა პირობამ განსაზღვრა ბრძოლის ხასიათი და გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი. რიგელებმა გაიმარჯვეს — 81:78. ეს ნამდვილი გმირობაა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ესტონელები შინ იშვიათად მარცხდებიან.

არმიელთა გუნდმა პროგრამის პირველი ნაწილი შეასრულა: 2 ქულით დასცილდა უახლოეს მეტოქეს — „ურალმაშს" და გაუთანაბრდა თბილისის „ბურევესტნიკს". ახლა ქართველ და ლატვიელ კალათბურთელებს ერთნაირი მაჩვენებლები აქვთ, მაგრამ თბილისელთა სატურნირო მდგომარეობა ოდნავ უკეთესია, ვინაიდან მათ ასკსთან 3 შეხვედრიდან 2 თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს.

სვერდლოვსკი. „ურალმაშისა" და ცსკა-ს შეხვედრის შედეგი ეჭვს არ იწვევდა: ლიდერმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ბრძოლა სასურველ ფინალამდე მიიყვანა — 85:65.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 ივლისისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 29 | 26 | 3 | 2133—2026 | 26 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 30 | 23 | 7 | 2286—2007 | 23 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 26 | 20 | 6 | 2074—1861 | 20 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 29 | 20 | 9 | 2276—2197 | 20 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 29 | 17 | 12 | 2358—2259 | 17 |
| „კალევი" (ტარტუ) | 29 | 15 | 14 | 2270—2260 | 15 |
| „დინამო" (თბილისი) | 27 | 14 | 13 | 2166—2186 | 14 |
| ასკ (კიევი) | 27 | 10 | 17 | 1937—1977 | 10 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 30 | 8 | 22 | 2149—2408 | 8 |
| ასკ (რიგა) | 30 | 8 | 22 | 2204—2401 | 8 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 29 | 6 | 23 | 2128—2418 | 6 |
| „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) | 28 | 5 | 23 | 2049—2308 | 5 |

## გამარჯვებულებს — საკავშირო პროფსაბჭოს პრიზები

რაც უფრო ახლოვდება სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადა, მით უფრო ფართოდ ჩაღდება შეჯიბრებები ფიზკულტურულ კოლექტივებში. მხედველობაში მიიღო რა სპარტაკიადის დიდი მნიშვნელობა, საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ გამოიტანა სპეციალური დადგენილება „სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის მომზადებასა და ჩატარებაში პროფკავშირის სპორტულ საზოგადოებათა მონაწილეობის თაობაზე."

დადგენილება ავალებს პროფკავშირთა საბჭოებსა და კომიტეტებს, საკავშირო, ცენტრალურ, რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ ორგანიზაციებს ფიზკულტურის ყველა კოლექტივში, სპორტულ კლუბებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში ჩაატარონ სპორტული შეჯიბრებები სპარტაკიადის პროგრამით, უზრუნველყონ მშრომელთა და მოსწავლე ახალგაზრდობის ფართო მასების ჩაბმა ამ ღონისძიებებში.

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნო ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხზე, რომ სასპარტაკიადო შეჯიბრებები გამოყენებული იქნეს ფიზკულტურული კოლექტივების ორგანიზაციულად განმტკიცებისა და ფიზკულტურელთა და სპორტსაზოგადოებების წევრთა რიცხვის გაზრდისთვის. სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში უნდა გაუმჯობესდეს თანრიგოსანთა, საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა და სპორტულ მსაჯთა მომზადების დონე. ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებებმა უნდა იზრუნონ, რომ რაც შეიძლება ბევრი პროფკავშირელი სპორტსმენი შევიდეს სპარტაკიადის მონაწილე მოძმე რესპუბლიკათა ნაკრებ გუნდებში.

დადგინდა დაწესდეს საკავშირო პროფსაბჭოს 5 სამახსოვრო პრიზი, რომლებიც გადაეცემათ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ფინალში წარმატებით გამოსულ პროფკავშირულ გუნდებსა და სპორტსმენებს.

# ირანელი სტუმარი საქართველოში

გასულ კვირადღეს თბილისში ჩამოვიდა ირანის პრინცი, ირანის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გოლამ რეზა ფეჰლევი. იგი საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მოწვევით.

ირანის პრინცთან ერთად ჩამოვიდნენ ირანის ელჩი სსრ კავშირში აჰმად მირფენდერესკი და სხვა ირანელი სტუმრები.

გოლამ რეზა ფეჰლევის შეხვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე, თბილისის სპორტული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი მ. ჭიჭინაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მუშაკები.

ჩამოსვლის დღეს ირანის პრინცი და მისი თანმხლები პირები ეწვივნენ ჩაის სახლს. 13 ივლისს გოლამ რეზა ფეჰლევი და მისი თანამგზავრები იყვნენ ქალაქში. თბილისის მთავარი არქიტექტორი შ. ყავლაშვილი სტუმრებს ესაუბრა რესპუბლიკის დედაქალაქის საქალაქო მეურნეობის განვითარების, საბინაო და კულტურული მშენებლობის შესახებ. სტუმრები იყვნენ შამპანური ღვინოების ქარხანაში, დიდი ინტერესით დაათვალიერეს საქართველოს სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის სახელოსნო. ირანის პრინცი დაესწრო ფეხბურთის მატჩს, რომელიც გაიმართა თბილისის „დინამოსა" და ოდესის „ჩერნომორეცს" შორის. (საქინფორმი).

* * *

ირანის პრინცი, ირანის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გოლამ რეზა ფეჰლევი 13 ივლისს ეწვია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს რ. დვალს. პრინცთან ერთად იყო ირანის ელჩი სსრ კავშირში აჰმად მირფენდერესკი.

გაიმართა მეგობრული საუბარი. საუბარში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი გ. წერეთელი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. მელაძე, პროფესორი ჯ. გიუნაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი მ. ჭიჭინაძე, სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ვ. სავინი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლ. სანაძე.

რ. დვალი მიესალმა გოლამ რეზა ფეჰლევის და აღნიშნა, რომ საბჭოთა ადამიანები კმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ მტკიცდება და ვითარდება საბჭოთა კავშირისა და ირანის ხალხების მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა. მან ილაპარაკა საქართველოს ეკონომიკასა და კულტურაზე.

სტუმარს გააცნეს გამოკვლევები, რომლებსაც ქართველი ირანისტები ეწევიან. მას საჩუქრად გადასცეს ქართველ მეცნიერთა შრომები ირანის ისტორიის, სპარსული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე. ირანის პრინცს გააცნეს „სსრ კავშირ-ირანის" საზოგადოების საქართველოს განყოფილების საქმიანობა.

გოლამ რეზა ფეჰლევიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ირანსა და საქართველოს შორის სულ უფრო ვითარდება ტრადიციული კულტურული ურთიერთობა. მან მადლობა გადაიხადა იმ დიდი ყურადღებისთვის, რომელსაც საქართველოში უთმობენ მისი ხალხის ძველი კულტურის შესწავლას.

— კაცობრიობის პროგრესი, — თქვა ირანის პრინცმა, — წარმოუდგენელია ისე, თუ ერთმანეთს არ გავუზიარეთ მეცნიერების, კულტურისა და ეკონომიკის დარგში მიღწეული წარმატებანი.

გოლამ რეზა ფეჰლევიმ დიდად შეაფასა ქართველ სპორტსმენთა წარმატებანი. (საქინფორმი).



# მთავარი მსაჯი — დირექტორი

თბილისის სატელეგრაფო აპარატების ქარხნის სპორტული ბაზები საზეიმოდ იყო მორთული. ფიზკულტურული კოლექტივის VII სპარტაკიადის საზეიმო გახსნაზე ყველა საამქროს გუნდებმა და მათმა გულშემატკივრებმა მოიყარეს თავი. სპარტაკიადა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს ეძღვნება.

მონაწილეთ მიესალმა და შრომასა და სპორტში წარმატებები უსურვა სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა, ქარხნის დირექტორმა ბ. თორთლაძემ. შემდეგ სპარტაკიადის ალამიც აღმართეს. დაიწყო ტურნირები კალათბურთში, ფეხბურთში, ცურვაში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, შაშში... შეჯიბრებები ერთ თვეს გასტანს. გამარჯვებისთვის ბრძოლაში 9 საამქროს 730 სპორტსმენი ჩაება.

სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა გვითხრა, რომ ქარხანა თითქმის მთლიანად ახალგაზრდულია, მუშა-ახალგაზრდობას უყვარს ფიზკულტურა და სპორტი. ეს კი შრომისნაყოფიერების ზრდის საუკეთესო სტიმულატორია. ქარხანას აქვს პირველხარისხოვანი სპორტული ბაზები, სულ მალე აქ მწყობრში ჩადგება 25-მეტრიანი დახურული აუზი.

სპარტაკიადის პროგრამით პირველი შეხვედრები კალათბურთელმა ვაჟებმა გამართეს. დაწინაურდა მე-2 საამქროს გუნდი, რომელმაც ჯერ 21-ე საამქროს სპორტსმენები დაამარცხა — 41:37, ხოლო შემდეგ მე-4 საამქროს კოლექტივი — 39:38. მე-4 საამქრომ პირველ ტურში მოუგო მე-18 საამქროს — 48:32. მე-7 საამქროსა და ქარხნის სამმართველოს გუნდების შეხვედრა მე-7 საამქროს კალათბურთელების გამარჯვებით (46:39) დამთავრდა. მე-3 საამქრომ სძლია 1-ელ საამქროს — 35:33.

ე. შალიკაშვილი.

* * *

სურათზე: ქარხნის სამმართველოსა და მე-7 საამქროს გუნდების შეჯიბრების მომენტი.



## კვლავ მძლეოსნობაზე

# მომზადება მოიკოჭლებს

ჩვენს რესპუბლიკაში, განსაკუთრებით რაიონებში, მძლეოსნობის განვითარება რომ ჩამორჩება, უდავო ფაქტია. „ლელოს" ფურცლებზე ბევრმა მწვრთნელმა და მძლეოსნობის სპეციალისტმა გამოთქვა აზრი და გულისტკივილი ამ ჩამორჩენის გამო. ბევრი ობიექტური მიზეზი დაასახელეს, ბევრი საყურადღებო წინადადება წამოაყენეს, მაგრამ წინადადებები და მიზეზების ჩამოთვლა საქმეს ვერ უშველის, თუ კონკრეტული ღონისძიებანი არ გატარდა. ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სკოლებში, სადაც მძლეოსნობის განვითარებას საფუძველი ეყრება.

მძლეოსნობა სამართლიანადაა მიჩნეული სპორტის სხვა სახეობების საწყისად. რომელი ბავშვი გინახავთ, რბენა, ტყორცნა, ხტომა რომ არ უყვარდეს. რა არის მიზეზი, რომ შემდეგ ისინი მაღალ შედეგებს ველარ აღწევენ მძლეოსნობაში, ან სულაც თავს ანებებენ მას და სპორტის სხვა სახეობას ჰკიდებენ ხელს?

ამის მიზეზად სკოლებში მომუშავე ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა ნაკლები მომზადება მიმაჩნია.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დაბალი კლასების მოსწავლეებს (III-IV-V კლასები), განსაკუთრებით მთიან რაიონებში, საუკეთესო მონაცემები აქვთ, სიხარულითაც მეცადინეობენ მძლეოსნობის სექციებში. მაგრამ ეს ინტერესი ბოლომდე ყველას როდი მიჰყვება. იქ, სადაც ფიზაღზრდის მასწავლებელი ვერ აკმაყოფილებს ბავშვების მოთხოვნებს, არ ჰყოფნის ცოდნა, რომ ნორჩებს მძლეოსნური ტექნიკა აუხსნას და უჩვენოს, ბავშვები თანდათან გულგრილი ხდებიან მძლეოსნობისადმი.

მდგომარეობის გამოსწორებისთვის დიდი საქმის გაკეთება შეუძლიათ ფიზკულტურის ინსტიტუტის და პედაგოგიური ინსტიტუტების ფიზაღზრდის ფაკულტეტებს.

ამ ინსტიტუტში და ფაკულტეტებზე მძლეოსნობა იმდენად უნდა ვასწავლოთ სტუდენტებს, რომ კურსდამთავრებულებმა, რომლებსაც ძირითადად სკოლებში მოუხდებათ მუშაობა (მიუხედავად იმისა, რომელი სპეციალიზაციით ამთავრებენ), მძლეოსნობის ტექნიკის სწავლების მეთოდიკაც იცოდნენ, შეეძლოთ ბავშვებთან მონდომებით, საქმის ცოდნით მუშაობა.

სრულიადაც არ მინდა ჩრდილი მივაყენო სხვა სახეობებს, მაგრამ სპეციალისტთა მომზადების დროს მძლეოსნობაზე ყურადღების გამახვილება იმიტომაც არის საჭირო, რომ სასკოლო ფიზაღზრდის პროგრამები ძირითადად ამ სახეობაზეა აგებული. ეს მით უმეტეს საჭიროა იქ, სადაც სპორტული დარბაზები არ არის და ტანვარჯიშის საფუძვლიანი სწავლება გამორიცხულია. ამას მოითხოვს ჩვენს რესპუბლიკაში „სპორტის დედოფლის" შემდგომი განვითარების ინტერესებიც.

გ. ხვადაგიანი,
ცაგერის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

# ალორძინების გზაზე

ჩვენს რედაქციაში სტუმრად იყო ცხაკაიას რაიონის საცხენოსნო სპორტული კლუბის დირექტორი, სპორტის ოსტატი **შ. გრიგოლია**, რომელსაც ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე.

● **ჯერჯერობით თქვენს კლუბს მცირე ხნის ისტორია აქვს. გვიამბეთ მის ცხოვრებაზე, სამერმისო გეგმებზე.**

— ოთხი წელია, რაც ჩვენს რაიონში აღორძინდა ქართველი ხალხის საყვარელი სახეობა — საცხენოსნო სპორტი. ჩვენს კლუბს ჰყავს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოყვანილი წმინდა სისხლის ბუდიონური, ყაბარდოული და არაბული ცხენები. ჩვენი სპორტული კლუბის მხედრებს წარმატებით უასპარეზიათ როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო პირველობებში. ცხენოსნური სპორტის ეროვნულ სახეობებში მესამედ მოვიპოვეთ პირველობა და გარდამავალი თასი. 10 სპორტსმენი საქართველოს სპორტის ოსტატია. გვყავს ჩემპიონები ყაბახში, ჩეხვაში, თარჩიაში, ისინდსა და ცხენბურთში.

● **თქვენი რაიონი უწინაც ცნობილი იყო განთქმული მხედრებით...**

— დიახ, ჩვენ ვამაყობთ ისეთი ვეტერანი მხედრებით, როგორიც იყვნენ გ. ივანიძე, შ. ალანია, კ. სიგუა, ი. წურწუმია, პ. ლაშქარავა, ა. სამინავა და სხვები. გვიხარია, რომ მათს სახელოვან ტრადიციებზე აღიზარდა ნიჭიერი ახალგაზრდობა.

ახალგაზრდებში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გ. მარეიკო, რომელმაც შარშან რესპუბლიკის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა. ასევე წარმატებით გამოვიდა იგი წლევანდელ პირველობაშიც. მასთან ერთად წლეულს სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა რ. გარუჩავამაც. შესანიშნავად გამოვიდნენ ჩვენი კლუბის წარმომადგენლები ჭაბუკთა რესპუბლიკურ პირად-გუნდურ პირველობაში, სადაც ჩამოიტოვეს თბილისის, ზუგდიდის, გალის, გულრიფშისა და სხვა კოლექტივები და გარდამავალი თასი მოიხვეჭეს. ამასთან, თ. შამათავამ და ა. მესხმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმა შეასრულეს.

● **როგორ ხვდება თქვენი კლუბი საბჭოთა კავშირის ხალხთა მომავალ სპარტაკიადას?**

— ჩვენი სპორტკლუბის მხედრებიც გაცხოველებით ემზადებიან. ეს ნათლად დაადასტურა რსფსრ-ს პირველობაში ქართველ მხედართა შესანიშნავმა წარმატებამ. გუნდში ჩვენი სპორტკლუბის ორი წარმომადგენელი იყო — გ. მარეიკო და დ. მალანია. ამ წარმატებას ვერ მივაღწევდით, ყოველდღიურ დახმარებასა და მზრუნველობას რომ არ ვგრძნობდეთ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მხრიდან. ასევე დიდ დახმარებას გვიწევს „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭო.

„ლელო" ინტერვიუ

# აღმზრდელი

ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის უფროსმა მასწავლებელმა ს. ბალიაშვილმა ჯგუფს გადახედა და იკითხა, — იქნებ მსურველია ვინმე? გთხოვთ!

პირველი გაკვეთილის ჩატარება ნებით ვერავინ გაბედა.

— რევაზ, შენ მოდი! — ისევ მასწავლებელმა დაარღვია სიჩუმე, და სტუდენტი იხმო.

გაკვეთილი ჯერ „მოსწავლეებმა" გაარჩიეს, მერე მასწავლებელმა აიღო სიტყვა, რ. ბასილიას პედაგოგიური ალღო შეუქო...

...სტუდენტობის წლები გავიდა. ბასილია უყოყმანოდ დაეთანხმა წინადადებას, რომ აჭარაში წასულიყო სამუშაოდ.

მას შემდეგ ქობულეთის რაიონის ჩაქვის რუსული საშუალო სკოლის პედაგოგებმა და, მათ შორის, რ. ბასილიამ რვაჯერ დაულოცეს დამოუკიდებელი ცხოვრების გზა სკოლადამთავრებულთ. ზოგიერთმა მათგანმა დიდ სპორტულ სარბიელზეც შედგა ფეხი...

ეზოში მაღალი ხეების ტყე იყო, თავისუფალი ადგილი კი ჭაობს დაეფარა. ერთი სიტყვით, სკოლას სპორტული მოედნებისთვის ადგილი არ ჰქონდა.

— იმთავითვე მხარში ამომიდგა ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი ა. ზამთარაძე, სულ რაღაც სამიოდე ხის გამოხშირვით მწვანეში ჩაფლული ფრენბურთის მოედანი გავმართეთ. მერე მთელი სკოლა დაირაზმა, მეურნეობამ ტექნიკა მოგვაშველა, ქვა-ღორღით ამოვყელეთ ჭაობი. მოვაწყვეთ კალათბურთისა და ხელბურთის მოედნები, მძლეოსნური ბილიკები, ტანვარჯიშული ბაქანი, — გაიხსენა რევაზმა.

— ჩვენი სკოლის დირექტორი ი. აფხაზავა სპორტისთვის თავდადებული კაცია, — მითხრა შემდეგ მან.

დირექტორი სპორტით რომ დიდად ყოფილა გატაცებული, ამაში იმავე დღეს დავრწმუნდი. როგორც კი მეათეკლასელები ფრენბურთის სათამაშოდ გაიყვანეს მოედანზე, სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი დირექტორიც გამოჩნდა... იგი კარგად თამაშობს ფრენბურთს, ახალგაზრდებს სიამოვნებით უზიარებს გამოცდილებას.

ამ კაცის დამსახურებაა ისიც, რომ სკოლის ფიზკულტურული კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავეა აჭარაში. მას დახმარებასაც უწევენ. ადგილობრივმა საბჭოთა მეურნეობამ, გარდა სპორტული მოედნების მოწყობაში დახმარებისა, სკოლას 500 მანეთის ინვენტარი შეუძინა. ვალში არც მოსწავლეები რჩებიან, თავისუფალ დროს შრომაში და შემდეგ სპორტული ღონისძიებების მოწყობაში ეხმარებიან შეფებს, მხარში უდგანან მათ საზოგადოებრივი კადრების მომზადებაშიც.

რ. ბასილიას წინადადებით შარშან ჩაქვის ზონის ფეხბურთელთა რაიონული პირველობის მასპინძლობა მოსწავლეებმა და მეურნეობის ახალგაზრდებმა იკისრეს. სკოლისა და მეურნეობის კოლექტივებს მეგობრობა აქვთ ზედა ულიანოვკის ქართული საშუალო სკოლისა და აჭყვის მე-4 ჩაის ფაბრიკის ფიზკულტურელებთან.

სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის ნ. ბორისოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, რევაზის ენთუზიაზმმა პედკოლექტივსაც შეაყვარა ფიზკულტურა და სპორტი, აამაღლა ამ საგნის ავტორიტეტი.

გვინდა ერთიც შევნიშნოთ: მიღწევები უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, ჩაქვში სპორტული სკოლის რამდენიმე ჯგუფი მაინც რომ მუშაობდეს. ახლახანს აქ ახალი კინოთეატრი გაიხსნა და კარგი იქნებოდა, ძველი შენობა სკოლისთვის სპორტდარბაზად გადაეცათ.

თ. ბაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ჩაქვი,
ქობულეთის რაიონი.

# ახალი ნორმატივები

როგორც ცნობილია, ცურვაში ასპარეზობის ერთიანი, ყველა სპორტული ორგანიზაციისთვის დამტკიცებული სისტემის შესაბამისად, პირველ (საგაზაფხულო) შეჯიბრებათა ციკლი ყველგან 25-მეტრიან აუზებში ტარდება.

ამასთან დაკავშირებით ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა ერთიან საკავშირო სპორტულ კლასიფიკაციაში შეიტანა ცვლილებები და დაამტკიცა ახალი სათანრიგო მოთხოვნები 800 და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით, აგრეთვე, 100 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში.

ამიერიდან ნორმატივები ასეთია:

**ქალები.** თავისუფალი სტილი. **800 მ.** სპორტის ოსტატი—10.25,0, სპორტის ოსტატობის კანდიდატი—10.50,0, I თანრიგი — 11.28,0, II თანრიგი — 13.08,0, III თანრიგი — 15.28,0, მოზარდთა I თანრიგი — 16.28,0; **1500 მ.** სპორტის ოსტატი — 20.20,0, სპორტის ოსტატობის კანდიდატი — 21.25,0, I თანრიგი — 23.38,0, II თანრიგი — 26.38,0, III თანრიგი — 30.08,0, მოზარდთა I თანრიგი — 31.38,0; **100 მ კომპლექსური ცურვა.** II თანრიგი — 1.28,0, III თანრიგი — 1.42,0, მოზარდთა I თანრიგი — 1.48,0.

**ვაჟები.** თავისუფალი სტილი. **800 მ.** სპორტის ოსტატი—8.15,0, სპორტის ოსტატობის კანდიდატი—9.40,0, I თანრიგი — 10.13,0, II თანრიგი — 11.38,0, III თანრიგი — 13.48,0, მოზარდთა I თანრიგი — 14.48,0; **1500 მ.** სპორტის ოსტატი — 18.05,0, სპორტის ოსტატობის კანდიდატი — 18.35,0, I თანრიგი — 19.28,0, II თანრიგი—22.28,0, III თანრიგი — 26.38,0, მოზარდთა I თანრიგი — 28.08,0; **100 მ კომპლექსური ცურვა.** II თანრიგი — 1.18,0, III თანრიგი—1.33,0, მოზარდთა I თანრიგი — 1.39,0.

## ტელეფონით, ტელეგრაფით

**✦ თელავი**

სოფელ ფშაველში მოეწყო ფალავანთა ტურნირი ფარნაოზ ჩიკვილაძის სახელობის თასზე. შეჯიბრებას ასობით კოლმეურნე და მოსწავლე დაესწრო.

შ. ჯაჭვაძე.

**✦ ახმეტა**

ქართულ ჭიდაობაში რაიონის ჩემპიონის ტიტულს ერთმანეთს ეცილებოდა 60 სპორტსმენი. ჩემპიონები გახდნენ: ვ. კოტორაშვილი, ბ. ონიაშვილი, მ. მარგოშვილი, ნ. გაგუნაშვილი, შ. გუტაშვილი, გ. აბრამიშვილი, თ. წითელაური.

შ. ნათელაური.

**✦ ლაგოდეხი**

გაიმართა კოლმეურნე კალათბურთელთა რაიონული პირველობა. როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის ყველას აჯობეს სოფელ ჭაბუკიანის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის გუნდებმა. აღსანიშნავია, რომ ქალთა კოლექტივს წვრთნის ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების V კურსის სტუდენტი დოდო მოდებაძე, რომელიც სპორტშიც მოწინავეა და შრომაშიც.

ნ. ციციაური.

# 20.45

◆ **კასელი** (გფრ), 14 ივლისი. აქ გამართულ შეჯიბრებაში ი. შვარცი 816 სმ სიგრძეზე გადახტა, რაც დასავლეთ გერმანიის ახალი რეკორდი და საუკეთესო შედეგია წლეულს მსოფლიოში. 29 წლის მძლეოსანმა პირველად გადალახა 8-მეტრიანი ზღვარი.

◆ **დებრეცენი**, 14 ივლისი. უნგრეთის ამ ქალაქში მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრების 7 ტურის შემდეგ სამივე საბჭოთა მოჭადრაკე სატურნირო ცხრილის სათავეშია: ვ. სავონს 5 ქულა აქვს, დიდოსტატებს ე. გუფელდსა და ა. ზაიცევს კი 4,5-4,5. ასეთივე შედეგები აქვთ ჰენინგსს (გდრ) და რიბლის (უნგრეთი). ეს ტურნირი გამოჩენილი უნგრელი მოჭადრაკის გ. მაროცის 100 წლისთავისადმია მიძღვნილი. შეჯიბრებაში 16 კაცი თამაშობს — 8 უნგრელი და ამდენივე სტუმარი. ორი საბჭოთა დიდოსტატის გარდა აქ არიან უნგრელი დიდოსტატები ი. ბილეკი და ლ. ლენდიელი.

◆ **ამსტერდამი**, 14 ივლისი. მოჭადრაკეთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში — „იბმ" — დღეს აქ სტარტს აიღებენ მსოფლიო ჩემპიონი ბ. სპასკი და მომავალი მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირის მონაწილეები ე. გელერი და ლ. პოლუგაევსკი. წლევანდელ, რიგით მეათე შეჯიბრებაში 16 მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას. მათ შორის არიან ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია), ვ. ულმანი (გდრ), ი.-ჰ. დონერი (ჰოლანდია), დ. ჩირიჩი (იუგოსლავია) და სხვა ცნობილი მოჭადრაკეები. I ტურში სპასკი გლიგორიჩს ხვდება.

ფეხბურთი 1970

### სსრ კავშირის პირველობა

# ერთპიროვნული ლიდერის როლში

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 13 ივლისი.

„დინამო" (თბილისი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 2:0 (0:0).

„დინამო": ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა (რეხვიაშვილი), ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, გავაშელი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

„ჩერნომორეცი": იარჩუკი, ლისენკო, რეშკო, ზუბკოვი, მიხკვიჩოვი, მასლოვი, პორკუიანი (ბოსი), შიმანოვიჩი (სკურსკი), პროკოპენკო, მიხაილინი, ზვენიგოროდსკი.

მსაჯი ა. კიშკო (ლენინგრადი).

დუბლიორები — 2:2.

დახედეთ გათამაშების ცხრილს: პირველი წრის დასასრულს „ვალი" თითქმის არავისა აქვს, ჩემპიონატის მონაწილენი გათანაბრდნენ ჩატარებული მატჩების რაოდენობით. მდგომარეობა ყველას ერთნაირი აქვს და I ადგილი ეკუთვნის თბილისის „დინამოს". ჩვენ ერთპიროვნული ლიდერები ვართ!

ახლა გაიხსენეთ თასის გათამაშებაც. 25 ივლისს აქ, „ლოკომოტივის" სტადიონზე, თასის ნახევარფინალურ მატჩში უნდა მივიღოთ ბაქოს „ნევთჩი" და, იმედი გვაქვს შეხვედრის კეთილად დამთავრებისა — გასული ვართ ფინალში!

აი, ასეთი შესანიშნავი პერსპექტივები აქვს ამ ორ ფრონტზე თბილისის „დინამოს". იგი ორივე დიდ შეჯიბრებას სათავეში უდგას და ახლა, როგორც არასდროს, დინამოელების წინაშე უკიდურესად საპასუხისმგებლო, უპირველესი მნიშვნელობის ამოცანებია დასახული. ყოველ მატჩს, ყოველ გამოსვლას საკუთარ თუ მეტოქის მინდორზე, თითოეულ ქულას და, თუ გნებავთ, ბურთსაც კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. არ შეიძლება არაფრის დაკარგვა, არ შეიძლება არავითარი შეფერხება ან ნაბიჯის გადადგმა უკან. საჭიროა ძალების მაქსიმალური მობილიზება, ორგანიზებულობა, ზრუნვა, რათა ესოდენ დიდი შრომითა და ბრძოლით მონაპოვარი წყალში არ ჩაიყაროს. ყველაფერი უნდა შეეწიროს ერთ მაღალ, საპატიო მიზანს: ან ჩემპიონობა, ან თასი! ან ორივე ერთად!

ამ მაღალფარდოვან ტირადას ვამბობთ იმიტომ, რომ გვახსენდება სულ ახლანდელი დანაკარგი: ფრე ორჯონიკიძეში, ფრე ვოროშილოვგრადში და წაგება ბაქოში. 6 შესაძლებლიდან 4 დაკარგული ქულა! ეს რომ არა, ჩვენი გუნდი ერთი თავით მაღლა იქნებოდა თავის უმთავრეს კონკურენტებზე.

იოლი მატჩები, როგორც ხედავთ, არაა. მით უმეტეს, საჭიროა ზღვრული შესაძლებლობებით თამაში. აიღეთ, თუნდაც, განვლილი მატჩი „ჩერნომორეცთან". რით უნდა იყოს ეს გუნდი ჩვენთვის საშიში, ისიც საკუთარ მინდორზე? „ჩერნომორეცი" აუტსაიდერთა შორისაა, ერთობ სათუოდ აქვს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების შანსები და, საერთოდ, ჩემპიონატის 15 მატჩში სულ გატანილი აქვს 9 ბურთი. აი, ამ გუნდთან შეხვედრაშიც კი ხონჩით არავის მოუტანია 2 ქულა ჩვენთვის. დინამოელებს 90-წუთიანი დაძაბული ბრძოლის გადატანა მოუხდათ, რათა შესაფერისი გამოსახულება მიეცათ თავიანთი უპირატესობისთვის.

თბილისელებმა მთელი ტაიმი გააცდინეს ისე, რომ გოლი ვერ გაიტანეს. ჯერ გავაშელმა მისცა ხელში ბურთი იარჩუკს, მერე მეტრეველმა ვერ გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი, ლ. ნოდიამ ძელს მოახვედრა უძლიერესი დარტყმა, შორიდან მოსინჯეს ოდესელთა მეკარის ძალა ასათიანმა, გ. ნოდიამ, პეტრიაშვილმა. გოლი მაინც არ იყო.

მასპინძელთა უპირატესობა უდავო და აშკარა იყო, მაგრამ მათს იერიშებში ნაჩქარეობა და ქაოტურობა იგრძნობოდა. ფორვარდები არ „იხსნებოდნენ" შეტევის გადამწყვეტ ფაზაში და ჯგუფ-ჯგუფად იყრიდნენ თავს. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ლ. ნოდია, რომელიც რისხვასავით ატყდებოდა თავს ლისენკოს და მის დამხმარე რეშკოს.

მეორე ტაიმი „დინამომ" საგრძნობლად გამოასწორა. საქმე მხოლოდ ის არაა, რომ ორივე ბურთი სწორედ ამ პერიოდში გავიდა. ეს, შეიძლება, ადრეც მომხდარიყო. შესვენების შემდეგ გუნდი უფრო ორგანიზებულად, დაჯერებულად გამოიყურებოდა, მოთამაშეები გაცილებით უფრო ზუსტად და მოფიქრებულად ასრულებდნენ კომბინაციებს, ნაჩქარეობა შეცვალა ნამდვილმა ოსტატობამ.

საუცხოოდ ჩაატარა მეორე ტაიმი ასათიანმა. მან გამთამაშებლის როლი აიღო თავის თავზე და ფორვარდები შემთხვევით მოწოდებული ბურთების ანაბარა კი აღარ იყვნენ, არამედ რეგულარულად გათამაშებული კომბინაციების მუდმივი მონაწილენი გახდნენ. ამას გარდა, მარცხენა ფრთაზე კვლავ არ აძლევდა მცველებს მოსვენებას ლ. ნოდია.

და მოსახდენიც მოხდა: 50-ე წუთზე „ჩერნომორეცის" კარში საჯარიმო დარტყმა დაინიშნა. მეტრეველმა ბურთი ასათიანს გაუგორა და ამ უკანასკნელმა ძლიერად დაარტყა. ეს იყო პირველხარისხოვანი დარტყმა, რომლის წინაშე იარჩუკი უძლური აღმოჩნდა — 1:0.

67-ე წუთზე მეტრეველმა კუთხური მიაწოდა. ბურთმა გ. ნოდიასგან ისე სწრაფად გადაინაცვლა გავაშელთან და მერე ბადეში, რომ ოდესელთა მცველებმა და მეკარემ ვერაფერი მოასწრეს — 2:0.

გამარჯვების შენარჩუნება დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა, თუმცა ოდესელები ბოლომდე თავგამოდებით იბრძოდნენ მდგომარეობის შესაცვლელად. 2 ქულა, რომლებმაც თბილისის „დინამოს" ერთპიროვნული ლიდერის „ტიტული" მოუტანა, აღებულია.

**გ. ქორქია.**

• • •



სურათზე: მეორე გოლი „ჩერნომორეცის" კარში. იგი ზუსტი დარტყმით გააქვს გ. გავაშელს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## გასული ტური, გოლები, კომენტარი

საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის ბოლოსწინა ტურის მატჩები შედგა 13 ივლისს.

ტურის ცენტრალურ მოვლენას წარმოადგენდა შეხვედრა მოსკოვში ადგილობრივ „სპარტაკსა" და „დინამოს" შორის. მაყურებლებმა იხილეს ძალიან საინტერესო ბრძოლა და 2 პენალტი. სულ გატანილ იქნა 5 ბურთი და ყველა — შესვენების შემდეგ. სპარტაკელებმა საუცხოოდ ითამაშეს და 4 ბურთი მოათავსეს მეტოქის კარში, რომელსაც ლ. იაშინი იცავდა. ანგარიში გახსნა სპარტაკელმა პეტროვმა 11-მეტრიანი დარტყმით. დანარჩენი გოლების ავტორები იყვნენ ოსიანინი, ლოგოფეტი და ჰუსაინოვი. ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა შეძლო დინამოელმა კოზლოვმა 11-მეტრიანი დარტყმით.

კიევის დინამოელები შინ შეხვდნენ „არარატს". ანგარიში მე-7 წუთზე გახსნა კაზაროანმა. ამ გოლის გაქვითვა ვიცე-ჩემპიონმა შეძლო მხოლოდ 71-ე წუთზე (ონიშჩენკო). აღსანიშნავია, რომ კიევის „დინამომ" ბოლო სამ შეხვედრაში 5 ქულა დაკარგა!

უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა „ზარიას" და „ფახთაქორის" შეხვედრა ვოროშილოვგრადში. „ზარიას" გამარჯვება მოუტანა ხმიონოვის მიერ მეორე ტაიმში გატანილმა ერთადერთმა ბურთმა.

ორჯონიკიძის სპარტაკელებმა მორიგი მარცხი განიცადეს მინსკში, ადგილობრივ დინამოელებთან შეხვედრაში — 0:1. გოლის ავტორია სახაროვი.

ანგარიში არ გახსნილა მხოლოდ ერთ მატჩში: „ზენიტი"—„სკა (დონის როსტოვი).

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია მოსკოვის „დინამოს" ცენტრალური თავდამსხმელი ვ. კოზლოვი — 11 ბურთი. თბილისელი გ. ნოდიასა და მოსკოვის სპარტაკელი ჰუსაინოვის ანგარიშზეა 7-7 გოლი.

**უმაღლესი ლიგა**

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (თბილისი) | 15 | 8 | 5 | 2 | 22—8 | 21 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 15 | 8 | 4 | 3 | 22—10 | 20 |
| ცსკა | 15 | 8 | 3 | 4 | 23—9 | 19 |
| „დინამო" (კიევი) | 15 | 8 | 3 | 4 | 17—11 | 19 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 15 | 7 | 5 | 3 | 16—12 | 19 |
| სკა (დონის როსტოვი) | 15 | 5 | 8 | 2 | 10—6 | 18 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 15 | 5 | 7 | 3 | 25—15 | 17 |
| „ნევთჩი" (ბაქო) | 15 | 5 | 6 | 4 | 15—9 | 16 |
| „არარატი" (ერევანი) | 15 | 6 | 4 | 5 | 12—13 | 16 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 16 | 5 | 6 | 5 | 8—14 | 16 |
| „დინამო" (მინსკი) | 15 | 4 | 5 | 6 | 17—17 | 13 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 15 | 2 | 8 | 5 | 8—13 | 12 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 15 | 3 | 5 | 7 | 9—15 | 11 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 15 | 3 | 5 | 7 | 13—25 | 11 |
| „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 15 | 3 | 5 | 7 | 8—24 | 11 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 15 | 3 | 4 | 8 | 14—25 | 10 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 15 | 1 | 5 | 9 | 12—25 | 7 |

# ბრძოლა თავიდანვე იყო საჭირო

დონეცკი. „შახტიორის" სტადიონი. 13 ივლისი.

„შახტიორი" (დონეცკი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 3:1 (2:0).

„შახტიორი": გოვოროვი, გრიგორიევი, დროზდენკო, პოპოვი, პიანიხი, ტარანოვი (ბულდაკოვი), პილიპჩუკი, კლიმოვი, ჩერემიშინი (ევსეენკო), კონკოვი, კოზინკევიჩი.

„ტორპედო": გოგია, ჩხაიძე, წვერავა, ჰოხონელიძე, შერგელაშვილი, ოქროპირაშვილი, ერქომაიშვილი, ანფიმიადი (ქორიძე), ვეკუა, ხერხაძე, ქიქავა (დელბა).

მსაჯი თ. ველიევი (ბაქო).

დუბლიორები — 5:0 „შახტიორის" სასარგებლოდ.

დონეცკელმა ფეხბურთელებმა, რომლებსაც ახალი მწვრთნელი ჰყავთ (ა. ფალიანი), ძალიან გაიფუჭეს თავიანთი სატურნირო მდგომარეობა შინ ორჯონიკიძის „სპარტაკთან" დამარცხების შემდეგ და უმაღლესი ლიგიდან წასვლის უეჭველ კანდიდატთა შორის აღმოჩნდნენ. ქუთაისელებს აუცილებლად უნდა მიეღოთ მხედველობაში ეს გარემოება და დასაწყისშივე ეგრძნობინებინათ მასპინძლებისთვის, რომ წასაგებად სულაც არ იყვნენ განწყობილი. მაგრამ გუნდმა თავისი ასეთი განწყობილება ვერ აჩვენა მეტოქეს. პირიქით, ტორპედოელებმა თამაში დაიწყეს ნელ ტემპში, იმდენად ნელა, რომ „შახტიორს" საშუალება ჰქონდა დინჯად და აუჩქარებლად, თანდათან მიეღწია საერთო უპირატესობისთვის. მატჩის საბოლოო შედეგზე განსაკუთრებით იმოქმედა იმან, რომ ქუთაისელთა ნახევარდაცვამ თითქმის მთლიანად გადააბარა ინიციატივა მეტოქეს და იზოლირებული აღმოჩნდა საკუთარი თავდასხმისგან. შემაკავშირებელი ფეხბურთელის როლი ვერ შეასრულა ქიქავამ, რომელიც ამ დღეს ერთობ ინერტულად გამოიყურებოდა. უკეთესად არც ანფიმიადი და ოქროპირაშვილი თამაშობდნენ.

მასპინძლებმა ეს გარემოება კარგად გამოიყენეს და ტორპედოელთა დაცვას, სადაც კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ ჩხაიძე და წვერავა, მძიმე დატვირთვა დააწვა. მაგრამ ამ ვითარებაშიც კი ანგარიშის გახსნის საშუალება მიეცა ხერხაძეს, რომელმაც მე-15 წუთზე ხელსაყრელი მდგომარეობიდან ააცდინა ბურთი კარს.

34-ე წუთზე პიანიხმა მაღალი ბურთი მიაწოდა კართან. გოგია შეცდა, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა კლიმოვმა — 1:0.

ტაიმის ბოლო წუთზე გოგიამ ვერ შეძლო ბურთის კარგად მოგერიება და პილიპჩუკმა ასევე თავით მეორე ბურთი გაგზავნა „ტორპედოს" კარში.

შესვენების შემდეგ ქორიძემ გარკვეული გამოცოცხლება შეიტანა თამაშში. ქუთაისელებიდან ზედიზედ მიეცათ ბურთის გატანის შესაძლებლობა ვეკუას, ხერხაძეს. 74-ე წუთზე ერქომაიშვილის სწრაფი გარღვევა დამთავრდა კართან გადაცემით, სადაც ბურთს ყველაზე ადრე მიუსწრო ქორიძემ — 1:2.

შემდგომში სტუმრებს კიდევ ჰქონდათ რამდენიმე კარგი მომენტი, მაგრამ მათი გადამწყვეტი დარტყმები ზუსტი არ იყო.

84-ე წუთზე კონკოვმა შორიდან დაარტყა, მაგრამ გოგია მოუმზადებელი აღმოჩნდა ბურთის მისაღებად. მატჩის ხსნა უკვე შეუძლებელი იყო.

**ლ. ფაჩუაშვილი.**

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

**II ზონა**

მოგვყავს „ა" კლასის II ჯგუფის II ზონაში 11 ივლისს ჩატარებულ შეხვედრათა შედეგები: „დინამო" (მახაჩყალა) — „სალუტი" (ბელგოროდი) 0:0, „ფოლადი" (სუმგაითი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 1:4, „დინამო" (კიროვაბადი) — „ტრუდი" (ვორონეჟი) 2:3, „სტალი" (ვოლგოგრადი)—„ვოლგა" (კალინინი) 1:2, „დინამო" (სტავროპოლი)—„შინიკი" (იაროსლავლი) 0:3, „ტორპედო" (ტაგანროგი)—„სატურნი" (რიბინსკი) 3:2, „დრუჟბა" (მაიკოპი) — „შირაკი" (ლენინაკანი) 2:1, „ლოკომოტივი" (კალუგა) — „დინამო" (ბრიანსკი) 2:1, „მეტალურგი" (ტულა) — „ვოლგა" (გორკი) 3:2.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 18 | 9 | 7 | 2 | 25—15 | 25 |
| „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) | 18 | 9 | 6 | 3 | 25—6 | 24 |
| „მეტალურგი" (ტულა) | 18 | 10 | 3 | 5 | 30—19 | 23 |
| „ვოლგა" (კალინინი) | 18 | 10 | 2 | 6 | 26—17 | 22 |
| „შინიკი" (იაროსლავლი) | 18 | 7 | 8 | 3 | 17—10 | 22 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 18 | 8 | 6 | 4 | 18—17 | 22 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 18 | 7 | 7 | 4 | 21—18 | 21 |
| „ლოკომოტივი" (კალუგა) | 18 | 7 | 6 | 5 | 19—25 | 20 |
| „დილა" (გორი) | 18 | 7 | 5 | 6 | 23—21 | 19 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 18 | 7 | 5 | 6 | 16—14 | 19 |
| „დინამო" (ბათუმი) | 18 | 7 | 5 | 6 | 15—15 | 19 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 18 | 7 | 4 | 7 | 22—14 | 18 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 18 | 7 | 4 | 7 | 17—14 | 18 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 18 | 6 | 6 | 6 | 22—20 | 18 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 18 | 6 | 5 | 7 | 20—24 | 17 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 18 | 6 | 4 | 8 | 24—23 | 16 |
| „ვოლგა" (გორკი) | 18 | 5 | 6 | 7 | 20—24 | 16 |
| „სტალი" (ვოლგოგრადი) | 18 | 4 | 7 | 7 | 16—17 | 15 |
| „სატურნი" (რიბინსკი) | 18 | 4 | 7 | 7 | 16—23 | 15 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 18 | 4 | 4 | 10 | 14—28 | 12 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 18 | 2 | 5 | 11 | 7—23 | 9 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 18 | 1 | 4 | 13 | 8—34 | 6 |

[illegible]

✦ ადიგენი

უდეს კულტურის სახლში გაიმართა „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. გუნდური გამარჯვება ადიგენის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს ხვდა, პირად ჩათვლაში უძლიერესნი იყვნენ: ფ. ბალახაშვილი (უდე), ზ. როხვაძე (ადიგენი), ქ. კოპაძე (უდე), ა. თათეშვილი, ნ. კაჭკაჭიშვილი (ორივე — არალი), ჯ. რეხვიაშვილი (მოხე), ი. გიგოლაშვილი (ადიგენი).

**ნ. მამულაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### „ბ“ კლასი

II ზონა, I ქვეჯგუფი

ფეხბურთის მოყვარულებს ვატყობინებთ „ბ“ კლასის გუნდების შეხვედრათა შედეგებს, რომლებიც ჩვენს გაზეთში არ იყო გამოქვეყნებული: „ტორპედო“ (ვისკი) — „მეტალურგი“ (კრასნი სულინი) 1:0, „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „ორბიტა“ (ბელაია კალიტვა) 1:1, „დინამო“ (სოხუმი) — „პროგრესი“ (კამენსკ-შახტინსკი) 3:1.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ (ვისკი) | 14 | 7 | 5 | 2 | 25—11 | 19 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 14 | 4 | 10 | 0 | 19—10 | 18 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 14 | 6 | 6 | 2 | 18—11 | 18 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 14 | 6 | 5 | 3 | 22—8 | 17 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 14 | 7 | 3 | 4 | 19—15 | 17 |
| „სპარტაკი“ (რიაზანი) | 14 | 7 | 2 | 5 | 23—15 | 16 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 14 | 4 | 8 | 2 | 15—11 | 16 |
| „პროგრესი“ (კამენსკ-შახტინსკი) | 14 | 4 | 7 | 3 | 18—16 | 15 |
| „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) | 14 | 3 | 8 | 3 | 9—9 | 14 |
| „მეტალურგი“ (კრასნი სულინი) | 14 | 5 | 4 | 5 | 11—13 | 14 |
| „სპარტაკი“ (სარანსკი) | 14 | 3 | 7 | 4 | 11—12 | 13 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 14 | 4 | 4 | 6 | 12—14 | 12 |
| „კახეთი“ (თელავი) | 14 | 5 | 2 | 7 | 17—23 | 12 |
| „სულორი“ (ვანი) | 14 | 4 | 4 | 6 | 14—24 | 12 |
| „სპარტაკი“ (ტამბოვი) | 14 | 2 | 7 | 5 | 8—13 | 11 |
| „ორბიტა“ (ბელაია კალიტვა) | 14 | 2 | 6 | 6 | 10—16 | 10 |
| „სპარტაკი“ (ცხინვალი) | 14 | 3 | 4 | 7 | 15—23 | 10 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 14 | 3 | 2 | 9 | 10—32 | 8 |

## ჭაბუკთა შეჯიბრებები

შახტში (როსტოვის ოლქი) დამთავრდა საკავშირო შეჯიბრების ნახევარფინალი „სიჭაბუკის“ თასზე.

ამ შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს ნორჩი ფეხბურთელები (მწვრთნელები ა. ვარდაშვილი და კ. ყრუაშვილი). მათ თანმიმდევრულად დაამარცხეს ესტონეთის (6:0), უზბეკეთის (3:1), თურქმენეთის (2:1) გუნდები, ფრედ ითამაშეს რსფსრ-სა (0:0) და მოლდავეთის (1:1) კოლექტივებთან და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს რსფსრ-ს გუნდთან ერთად. ფინალური შეჯიბრება, რომლის ადგილი ჯერ დადგენილი არაა, გაიმართება აგვისტოს შუა რიცხვებში.

ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში მიმდინარეობს მოსამზადებელი ჯგუფებისა და სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების ნახევარფინალური შეჯიბრებები.

ბოროვიჩში (ნოვგოროდის ოლქი) გამოდის საქართველოს ჩემპიონი — თბილისის განათლების განყოფილების გუნდი (მწვრთნელები თ. კუბლაშვილი და გ. მამალაძე). ჩვენმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს ლენინგრადის „ზენიტი“, მინსკის „დინამო“, ლვოვის „კარპატი“, ტალინის „კალევი“, იაროსლავლის „შინიკი“ და ბურთების საუკეთესო შეფარდებით (11:0) გავიდნენ ფინალში.

ურიგოდ არც ბათუმის დინამოელებს (მწვრთნელი ლ. ფერულიძე) უთამაშიათ. კოტოვსკში გამართულ შეჯიბრებაში მათ დაამარცხეს ცსკა (1:0), კრასნოდარის „ყუბანი“ (2:0), ფრედ ითამაშეს ბაქოს „ნეფთჩისთან“, ნიკოლაევის „სუდოსტროიტელთან“, ერევნის „არარატთან“ და თავიანთ ქვეჯგუფში II ადგილი დაიკავეს.



## ჟულ რიმეს თასი მექსიკაში

## რის ვარსკვლავები, რა ვარსკვლავები!

საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები მექსიკის IX მსოფლიო ჩემპიონატში ძალიან ცუდად გამოვიდა: ქვეჯგუფში ჩატარებული პირველი შეხვედრა მექსიკის ეროვნულ გუნდთან მან ფრედ (0:0) დაამთავრა, შემდეგ ანგარიშით 4:1 სძლია ბელგიელებს და ბოლოს გაიმარჯვა სალვადორის ნაკრებთან — 2:0. სსრ კავშირის გუნდი ჩემპიონატს დაემშვიდობა ურუგვაელებთან მერვედფინალური მატჩის წაგების შემდეგ — 0:1.

რას წარმოადგენდნენ ჩვენი მეტოქეები?

დავიწყოთ მასპინძელთა გუნდით. ტაქტიკის მხრივ ესაა ერთობ პრიმიტიული, ერთფეროვანი კოლექტივი, რომლის წევრთა დიდი უმრავლესობა ტექნიკურად ძალიან საშუალო დონეზე დგას. შედარებით არა უშავთ მეკარე კალდერონსა და ცენტრალურ მცველ ბორხას. მაგრამ მექსიკელთა ძალის შეფასებისას ანგარიში უნდა გავუწიოთ „მასპინძლობის ფაქტორს“. გუნდს უდიდესი მხარდამჭერი ჰყავდა უზარმაზარი სტადიონისა და... მსაჯების სახით. ერთი სიტყვით, მექსიკელები, თუ შეიძლება ითქვას, დიდ გულზე იყვნენ. სალვადორელებთან და ბელგიელებთან გამარჯვების შემდეგ მათ ამაყად დატოვეს მინდორი, თუმცა ამ უკანასკნელებთან საამაყო არაფერი ჰქონდათ: უსამართლო პენალტით გაცოფებულმა ბელგიელებმა პირდაპირ შავი დღე აყარეს მექსიკელებს, მაგრამ საპასუხო ბურთი ვერა და ვერ გაიტანეს.

სალვადორის ნაკრებზე საერთოდ არცა ღირს ლაპარაკი. ეს იყო ამ ჩემპიონატის პირველი და ყველაზე დიდი ლაფსუსი, უფრო მეტიც, ჩემპიონატის შესარჩევი სტადიის გათამაშების სისტემის შავი ლაქა. ძალიან გულდასაწყვეტი გახლდათ ის ფაქტი, რომ დედამიწის 16 უძლიერეს გუნდს შორის მოხვდა სალვადორის ყოველმხრივ და ყოვლად უმწეო ნაკრები და არ იყვნენ პორტუგალიელები, უნგრელები, არგენტინელები, ესპანელები, იუგოსლავიელები, პოლონელები, ავსტრიელები, ან თუნდაც, ფრანგები...

ვერც ბელგიის ნაკრებმა მოახდინა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება (თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა გუნდი პირდაპირ იღბლიან ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული: ასეთი სუსტი ქვეჯგუფი მექსიკაში არც ერთი არ იყო). განსაკუთრებით გამაოცა ვან ჰიმსტმა. იგი ისევე გამოცანად დარჩა ჩემთვის, როგორც ერთ დროს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ნანახი ფრანგი თავდამსხმელი, შვეციის მსოფლიო ჩემპიონატის დღემდე უძლეველი საუკეთესო ბომბარდირი ფონტენი. ვან ჰიმსტის თამაში ორჯერ ვნახე და დღემდე ვერ მივმხვდარვარ, რატომ, რის გამო, რისი წყალობით მიაკერეს ამ კაცს ევროპის (და მსოფლიოსიც!) ერთ-ერთი უძლიერესი ფორვარდის იარლიყი? ამის შესატყვისი მას მექსიკაში ოდნავაც არაფერი გაუკეთებია.

ურუგვაის უაღრესად მაღალტექნიკური ნაკრები, ჩემი აზრით, ძალიან უსიამოვნო, ასე ვთქვათ, მონოტონურ, ნელ ფეხბურთს თამაშობდა. მაგრამ ამ გუნდმა ფეხბურთის თამაში რომ იცის, ეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბრწყინვალე კოლექტივთან მატჩის მეორე ტაიმში გამოჩნდა. ერთი სიტყვით, გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, ისე გამოვიდა. ურუგვაელებს, სხვა სიკეთესთან ერთად, ძალიან სწრაფად, მეტისმეტად მაღალ ტემპშიც შესძლებიათ თამაში.

საბჭოთა ნაკრებთან კი ეს იყო ძალიან ნელა მოქმედი ანსამბლი, მაგრამ ძლიერი და ნებისყოფიანი კოლექტივი, რომელმაც მეტოქეს თანდათან თავს მოახვია საკუთარი ნება-სურვილი და განსაკუთრებით შესვენების შემდეგ მეთოდურად შებოჭა ნერვიულობისგან ისედაც ხელფეხშებორკილი საბჭოთა ფეხბურთელები. ამ შეხვედრის ყველაზე კანონზომიერი და ლოგიკური შედეგი ნულოვანი ფრე უნდა ყოფილიყო და კავაზაშვილის კარში გატანილი ერთადერთი ბურთი აშკარად უსამართლო გახლდათ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ ერთში შეიძლება ვუსაყვედუროთ აფონინს, კავაზაშვილსა და მათს სხვა პარტნიორებს: მსაჯის სასტვენი სდუმს, ესე იგი, ბურთი თამაშშია და მათაც უნდა ეთამაშათ.

მაგრამ არც ამაშია საქმე: მექსიკაში თვალნათლივ გამოჩნდა, რომ საბჭოთა ფეხბურთის დონე და მსოფლიოს მოწინავე გუნდების კლასი ისე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა. შესანიშნავად თქვა ფიფა-ს ვიცე-პრეზიდენტმა ვ. გრანატკინმა: ახლა საბჭოთა გუნდის მარცხი მსაჯის ამ შეცდომას დაბრალდება და აუტში გასული ეს ბურთი დაფარავს სამამულო ფეხბურთის ჩამორჩენის ნამდვილ მიზეზებსო.

მექსიკის ჩემპიონატმა ერთხელ კიდევ დაადასტურა ის უდავო ჭეშმარიტება, რომ უვარსკვლავებოდ დიდი ფეხბურთის თამაში არ შეიძლება. გაიხსენეთ ბრაზილიის ან გფრ-ის ნაკრები გუნდები. ისინი პირდაპირ ბრწყინავდნენ ვარსკვლავებით. რომელი ერთი დაგისახელოთ: პელე და ჟაირზინიო, ოვერატი და ბეკენბაუერი, რიველინო და გერსონი, შნელინგერი და ზეელერი, კარლოს ალბერტო და ტოსტაო...

საბჭოთა გუნდი კი? რის ვარსკვლავები, რა ვარსკვლავები! გუნდში ხანდახან გაიკიაფებდა სინათლე, ჰრაქს რომ დაუბერავს ხოლმე ქარი, ისე...

სრულიად მოულოდნელი და ყოვლად გაუგებარი გახლდათ საბჭოთა გუნდის მწვრთნელების ტაქტიკური შეცდომები: აუხსნელი სიჭიუტე თავდასხმის სამეულის (ევრიუჟიხინი, ბიშოვეცი, ხმელნიცკი) ურყევობაში; ასათიანის „დასვენება“ ბელგიელებთან ძალიან კარგად თამაშის შემდეგ (ამან რიტმიდან ამოაგდო ასათიანი); ხუთი მცველით თამაში სალვადორის ნაკრების ორი თავდამსხმელის წინააღმდეგ; ურუგვაელებთან მატჩის აგება კონტრიერიშებზე; მუნტიანის კულტის დამკვიდრება გუნდში (მუნტიანმა მხოლოდ ბელგიელებთან ითამაშა კარგად, დანარჩენ შეხვედრებში მისი ფასი კაპიკი იყო); სალვადორელებთან ასათიანის შეცვლა კისელიოვით (ნახევარდაცვის ხაზი: სერებრიანიკოვი — მუნტიანი — კისელიოვი ამ დღეს პირდაპირ საშინელი გახლდათ) და ა. შ.

ბევრი გვეკითხება, რატომ არც ერთხელ არ გამოვიდა „აცტეკის“ მწვანე მინდორზე მეტრეველი. ამაზე პასუხის გაცემა ჩვენთვის ერთობ ძნელია, მაგრამ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მეტრეველმა მშვენივრად ითამაშა მეხიკოში სსრ კავშირის პირველი და მეორე შემადგენლობების მატჩში, რომელიც მეორე ნაკრებმა (სლავა ამ გუნდში თამაშობდა) მოიგო ანგარიშით 4:1.

მ. კაკაბაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მეხიკო—თბილისი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 131, 132, 134, 135.

## [illegible]

● ტულა, 13 ივლისი. სსრ კავშირის თასი საერთაშორისო და რუსულ შაშში „ავანგარდის“ გუნდმა მოიპოვა დღეს აქ დამთავრებულ შეჯიბრებაში. საერთაშორისო შაშში პირადი ჩათვლა მოიგო მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, საერთაშორისო დიდოსტატმა ვ. შჩოგოლევმა (მოსკოვის „ლოკომოტივი“), ხოლო რუსულ შაშში ვაჟთა შორის I-II ადგილები გაიყვეს ოსტატებმა ა. ჩერნოპიშჩუკმა (მოსკოვის „ტრუდი“) და ბ. კუზნეცოვმა (შეიარაღებული ძალები, ლენინგრადი). სპორტის ამ სახეობაში ქალთა შორის ყველას აჯობა უფელმა ოსტატობის კანდიდატმა ლ. ილიასოვამ.

● ბერლინი, 13 ივლისი. სოციალისტური ქვეყნების მოფარიკავეთა ტურნირში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საბჭოთა სპორტსმენებმა: მათ შეჯიბრების 8 სახეობიდან შვიდში იზეიმეს წარმატება. პირველობა არავის დაუთმეს ე. ბელოვა-ნოვიკოვამ, ა. ნიკანჩიკოვმა (დაშნა), ვ. ნაზლიმოვმა (ხმალი) და ოთხივე საბჭოთა გუნდმა. რაპირისტ ვაჟთა შორის უძლიერესი იყო პოლონელი რ. პარულსკი. II ადგილზე გასულმა მოსკოველმა ლ. რომანოვმა მასთან დამატებითი ბრძოლა წააგო.

● ლიუცერნი, 13 ივლისი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენთა ახალი წარმატებით აღინიშნა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება აკადემიურ ნიჩბოსნობაში — ლიუცერნის რეგატა: მათ შვიდი ფინალური გაცურვიდან ხუთი მოიგეს. უმესაჭო ორმოსასმელიანები გასაშლელებით შეჯიბრებაში გაიმარჯვეს რუმინელებმა, ხოლო ორადგილიან წყვილმოსასმელიანებში — დანიელებმა. საბჭოთა ნიჩბოსნები ფინიშთან სამჯერ იყვნენ მეორენი: უმესაჭო ორმოსასმელიანები გასაშლელებით ლენინგრადელები სოლოვიოვი და ილინსკი, ორადგილიანი მესაჭიანებით — ლენინგრადელები ეშინოვი და ივანოვი და რვაადგილიანებით — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის გუნდი. რვაადგილიანებით ძალიან მაღალი შედეგები იქნა ნაჩვენები: 6 ფინალისტი 6 წუთიდან „გამოვიდა“. გდრ-ის გუნდის დროა 5.44,01, სსრ კავშირისა — 5.45,78, გფრ-ისა — 5.48,03, უნგრეთისა — 5.49,51.

● დუბლინი, 13 ივლისი. „ფინის“ კლასში მსოფლიო ჩემპიონმა, შვედმა აფროსანმა თ. ლუნდკვისტმა თავის ამ მაღალ ტიტულს ევროპაში უძლიერესის სახელიც დაუმატა: ირლანდიის დედაქალაქის მახლობლად გამართულ კონტინენტის ჩემპიონატში 6 რბოლიდან 3 მოიგო, 26 საჯარიმო ქულა დააგროვა და I ადგილი დაიკავა. მეორე პრიზიორი გახდა მისი თანამემამულე, ევროპის იუნიორთა ჩემპიონი გ. ლილიეგრენი (32,4), III ადგილი კი დაიკავა გდრ-ის წარმომადგენელმა ი. მაირმა (44). საბჭოთა აფროსნები ო. შილოვი და ვ. პოტაპოვი უძლიერესთა ექვსეულში ვერ მოხვდნენ. ამ სიის ბოლო სტრიქონი დაიკავა უნგრელმა ფინაციმ (54).

● ლია ბოლი (საფრანგეთი), 13 ივლისი. კანადის ცხენოსანთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამით აქ გამართული შეჯიბრება მოიგო წინაღობათა გადალახვაში „ეროვნებათა თასზე“, რითაც თავისი ოლიმპიური წარმატება გაიმეორა. გუნდის ღირსებას ისევ ის სამეული იცავდა, რომელმაც კანადას ოლიმპიური ოქრო მოუხვეჭა. ესენი არიან ჯ. გეიფორდი, ჯ. დეი და ჯ. ელდერი (სათადარიგო — ჯ. მოფეტ-დანლეპი). საფრანგეთის ნაკრებთან დამატებით ბრძოლაში კანადელებმა 780-მეტრიანი, 14 წინაღობით გაბარული დაბრკოლებათა ზოლი (წინაღობათა სიმაღლე 130-დან 160 სანტიმეტრამდე) შეუცდომლად გადალახეს, ფრანგებმა კი 4 საჯარიმო ქულა მიიღეს. საბჭოთა ცხენოსნები ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ.

● ტალინი, 13 ივლისი. ესტონეთის სპარტაკიადა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადასთვის მზადების ნიშნით ტარდება. მოცურავეთა და ძალოსანთა შეჯიბრებები უკვე დამთავრდა. ცურვაში გაუმჯობესდა 13, ძალოსნობაში — 2 რესპუბლიკური რეკორდი.

● ციურიხი, 13 ივლისი. შვეიცარიისა და გდრ-ის ათჭიდელთა საერთაშორისო მატჩში 20 წლის ჰ.-დ. მიხალეკმა (გდრ) 7881 ქულა მოაგროვა, რაც ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია წლეულს. გუნდურ ჩათვლაში სტუმრებმა გაიმარჯვეს.

● მიუნხენი, 13 ივლისი. „დანტეს“ სტადიონის რეკორტანის ბილიკებზე გაიმართა ჰ. ბრაუნის მემორიალი, რომელიც რამდენიმე მაღალი შედეგით აღინიშნა. აშშ-ს ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტმა ჩი ჩენმა 200 მ 22,4 წამში გაირბინა და 0,1 წამით გააუმჯობესა ი. შევინსკას (პოლონეთი) მსოფლიო რეკორდი. შემდეგ ჩი ჩენმა 100 მეტრზე თარჯრბენში ტ. სუკნევიჩის (პოლონეთი) მსოფლიო რეკორდი (12,5) გაიმეორა. ბადროს ტყორცნაში იმარჯვა ლ. ვესტერმანმა (გფრ) — 59,08. მისი თანამემამულე ი. ეკჰოფი საუკეთესო გახლდათ 400 მეტრზე რბენაში—53,3, ხოლო მეხიკოს ოლიმპიადის პრიზიორი ჰ. როზენდალი (გფრ)—სიგრძეზე ხტომაში—660 სმ. ვაჟთა შეჯიბრებიდან აღსანიშნავია იაპონელი ტომიზავას გამარჯვება: მან 214 სმ სიმაღლე დაძლია.

● ბუდაპეშტი, 13 ივლისი. აქ გაიმართა უნგრეთისა და გდრ-ის იუნიორ მძლეოსანთა საერთაშორისო მატჩი, რომელშიც მასპინძელთა წარმომადგენელმა შ. ბოროშიმ შუბი 81,84 მეტრზე ტყორცნა. 100 მეტრზე თარჯრბენში ბ. პოლაკმა (გდრ) 13,6 წამი აჩვენა.

● ლუვენი (ბელგია), 13 ივლისი. მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მოასპარეზეთა შორის იყვნენ აშშ-ს, გფრ-ის, საფრანგეთის, ინგლისისა და მასპინძელი სპორტსმენები. 100 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდის თანაავტორმა ჩ. გრინმა (აშშ) 10,2 წამი აჩვენა და გაიმარჯვა. ბადროს ტყორცნა მოიგო ჰ.-დ. ნოიმ (გფრ) — 61,52.

● სტოკჰოლმი, 13 ივლისი. სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა შვეციისა და ესტონეთის ათჭიდელთა მატჩი, რომელშიც მეტოქენი ვაჟთა და ჭაბუკთა გუნდებით ასპარეზობდნენ. ვაჟთა შეჯიბრების ანგარიშია 30801:27405, ჭაბუკებისა — 27270:25260. ვაჟთა პირად ტურნირში იმარჯვა მასპინძელმა ლ. ჰედმარკმა, რომელმაც 8011 ქულა მოაგროვა და შვეციის ახალი რეკორდი დაამყარა. ეს ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია წლეულს მსოფლიოში. II ადგილზეა ტალინელი რ. აუნი — 7831. ეს მაჩვენებელი წლეულს საუკეთესოა სსრ კავშირში. ჭაბუკთა შორის I და II ადგილები ესტონელებმა გ. პერდელემ (6883) და მ. ლემბიტამ (6734) მოიპოვეს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

### თბილისის სპორტული აფიშა

**ფეხბურთი.** ასკ-ს სტადიონი. საქართველოს პირველობა. **დღეს:** ასკ (თბილისი) — „ფერიქარი“ (წულუკიძე). დასაწყისი 18 ს.

**რეგბი.** „ლოკომოტივის“ სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის. **ხვალ:** „ავტომობილისტი“ (მოსკოვი) — „ფილი“ (მოსკოვი). დასაწყისი 18 ს. „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი), დასაწყისი 20 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. ? უე 08231